

ნების გამოვლენის ნამდვილობა და ინტერესთა კონფლიქტის
სამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლები ელექტრონული
ფორმით დადებული ნასყიდობის ხელშეკრულებისას

ინგა გასიტაშვილი

*სამაგისტო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის
ფაკულტეტზე კერძო ბიზნეს სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

კერძო (ბიზნეს) სამართალი

სამეცნიერო ხელმძღვანელი : მათა სულხანიშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2022

განაცხადი

„როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად“

ინგა გასიტაშვილი

02.07.2022

აბსტრაქტი

ონლაინ ნასყიდობა შეუზღუდავ ურთიერთობებთან ასოცირდება და დაკავშირებულია როგორც პირად(მომხმარებელსა და მიმწოდებელს შორის) ასევე საჯარო ინტერესებთან, შესაბამისად მნიშვნელოვანია იმ სამართლებრივი ურთიერთობის დალაგება, რომელიც მხარეებს მისცემს საშუალებას იურთიერთონ შეუზღუდვებისა და და დაბრკოლებების გარეშე დროსა და სივრცეში. 2014 წლის ასოცირების¹ შეთანხმებით საქართველო მიისწრაფვის ევროპული ქვეყნებისკენ და მნიშვნელოვანია წინგადადგმული ნაბიჯები საერთაშორისო სამართლებრივი აქტების მოწესრიგებასა და მომხმარებელთა უფლებების დაცვისათვის, რადგან ტექნოლოგიების განვითარება ართულებს პროცესების მართვას და ყოველდღიურ ურთიერთობაში მნიშვნელოვანია მხარეთა უფლებების დარეგულირება.

კეთილსინდისიერება სამართლებრივი გარიგების მნიშვნელოვანი ნაწილია, რადგან მხარეები ერთმანეთს არ/ვერ ხვდებიან და მომხმარებელის თანმხობა ოფერტზე უნდა წარმოადგენდეს ნამდვილი ნების გამოვლენის შესაძლებლობას ხელშეკრულებისათვის, ვინაიდან მისი არსებობა მხოლოდ ამ ნებაზეა დამოკიდებული, მხარეებმა უნდა შექმნან და შეძლონ ნდობის მოპოვება იმისათვის, რომ გამოხატული ნება არ გაიწელოს დროსა და სივრცეში, ამასთანავე ნამდვილი ნება და ნების არსებობის შესაბამისობა მნიშვნელოვანი ასპექტია მხარეთა ურთიერთობისათვის რათა გარკვეულ იქნას უფლება-მოვალეობათა განმსაზღვრელი არეალი, მხარის უფლება-შეისყიდოს კონკრეტული ნივთი და გამოხატული ნამდვილი ნება გადის მიმწოდებლის კეთილსინდისიერებაზე, რადგან მოთხოვნა და დრო, რომელიც მომხმარებლისთვის ძვირფასია, უნდა შეესაბამებოდეს მიწოდების სტანდარტებს.

საერთაშორისო სამართლებრივი რეგულირება და ქართული სამართალწარმოება სინთეზირებულ უნდა იქნას იმისათვის, რომ საქართველომ შეძლოს ფეხი აუწყოს

¹საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულება და შეთანხმება N200/42:27/06/2014 წლის საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულება და შეთანხმება „ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთი მხრივ საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის“. (11/09/2014) <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2496959?publication=0> (30.06.2022)

საერთაშორისო სამართალს, ონლაინ ხელშეკრულების დადებას უნდა მოჰყვეს მომხმარებლის გარანტიები დაცულობისა და ხელშეკრულების შესრულების აუცილებლობაზე, ისევე როგორც მიმწოდებელი უნდა იყოს გარანტირებულად დაცული რათა მის მიერ შესრულებულ ქმედებას მოჰყვეს სამართლებრივი საპასუხო რეაქცია და დახარჯული დრო შეესაბამებოდეს კანონის ფარგლებსა და საერთაშორისოდ აღიარებულ სამართლის პრინციპებს.

ონლაინ ხელშეკრულება ურთიერთრეგულირებად გარიგებას წარმოადგენს, რომლის დროსაც მომხმარებელი და მიმწოდებელი ერთ სამართლებრივ სივრცეში იმყოფებიან, მთავარია მხარეებმა კეთილსინდისიერების ყველა ნორმა დაიცვან ერთნაირად, ერთდროულად და საერთაშორისო სამართლის შესაბამისად, რათა თავიდან იქნას აცილებული ინტერესთა კონფლიქტი.

ძირითადი საძიებო სიტყვები : მომხმარებელი, მოვაჭრე, კეთილსინდისიერება, ინტერესთა კონფლიქტი, ნების ნამდვილობა, ონლაინ ვაჭრობა.

Abstract

Online purchases are associated with unlimited relationships and are related to both personal (customer and supplier) as well as public interest, therefore it is important to sort out the legal relationship that will allow the parties to interact with the parties without restrictions and obstacles in time and space. Under the 2014 Association Agreement concluded between the EU and the State of Georgia, Georgia aspires to European countries, and it is important to take steps to regulate international legal acts and protect consumer rights, as the development of technology makes it difficult to manage processes and regulate the rights of the parties in everyday relations.

Honesty is an important part of the legal transaction, because the parties do not/fail to meet each other, and the customer's consent on the offer should represent the possibility of showing true will for the contract, since its existence depends solely on this will, the parties must create and be able to gain trust in order not to extend the expressed will in time and space, In addition, genuine will and compliance with the existence of will are an important aspect for the relations of the parties in order to be a certain area defining rights and obligations, to acquire a specific item and the expressed genuine will pass through the integrity of the supplier, since the requirement and time that is precious to the customer must comply with the standards of delivery.

International legal regulation and Georgian litigation must be synthesized in order for Georgia to be able to comply with international law, concluding an online agreement should be followed by customer guarantees on the need for protection and the implementation of the contract, As well as the supplier must be guaranteed to ensure that the action performed by him/her is followed by a legal reciprocal reaction and the time spent complying with the scope of the law and the principles of internationally recognised law. The online agreement is a mutually regulated agreement in which the user and the supplier are in the same legal space, the main thing is for the parties to adhere to all norms of good faith equally, simultaneously, and accordingly.

Key search words: integrity, conflict of interest, authenticity of will, online trading.